ს ა ი ჯ ა რ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „ 01 “ იანვარი 2011 წ.

ერთის მხრივ „მეიჯარე“ მცხოვრები
ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
საკადასტრო რუკა № 01. 13. 05. 014. 008
მეორეს მხრივ „მოიჯარე“ დავდეთ
ხელშეკრულება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მეიჯარე“ „მოიჯარეს“, კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად, დროებით საქმიანობაში გადასცემს არასაცხოვრებელ ფართს 22 კვ. მ., მდებარე ქ. თბილისი ქუთაისის №30, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის „მეიჯარეს“.
1.2. იჯარის ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 2011 წლის დეკემბრამდე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
1.3. იჯარის ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

მუხლი 2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

2.1. ყოველთვიური იჯარის ქირა განისაზღვროს 500 (ხუთასი)ლარის ოდენობით.
2.2. იჯარის ქირა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.
2.3. ანგარიშსწორება განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს. თანხის მიღებას „მეიჯარე“ ადასტურებს პირადი ხელის მოწერით.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

„მოიჯარე“ ვალდებულია:
3.1. დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა, ელექტრო-ენერგიის, დასუფთავების და წყლის ხარჯები.
3.2. დაიცვას შენობა - ნაგებობის სანიტარული ნორმები, უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესები, საკუთარი სახსრებით აწარმოოს ფართის მიმდინარე რემონტი აგრეთვე სხვა შეკეთებითი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებული იქნება მის საქმიანობასთან. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ერთი თვით ადრე აცნობოს „მეიჯარეს“ ფართის მომავალი განთავისუფლების შესახებ და მიღება-ჩაბარების აქტის საშუალებით ჩააბაროს იგი გამართულ მდგომარეობაში.

„მოიჯარეს“ ეკრძალება:
3.3. ქირით აღებული ფართის ნაწილობრივ ან მთლიანად ქვეიჯარით გადაცემა მესამე პირზე.

„მოიჯარეს“ უფლება აქვს:
3.4. მოაწყოს და გააფორმოს საიჯარო ფართი საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად. მიუთითოს თავისი მდებარეობა შესაბამისი სარეკლამო აბრის მეშვეობით, როგორც შენობაში ასევე შენობის წინ. დააყენოს სიგნალიზაცია და დაცვის სხვა საშუალებები.

„მეიჯარე“ ვალდებულია:

3.5. უზრუნველყოს იჯარით გასაცემი ფართის კეთილმოწყობა, არ შეუშალოს ხელი „მოიჯარეს“ კომერციული საქმიანობის მიმდინარეობას,

3.6. ერთი თვით ადრე გააფრთხილოს „მოიჯარე“ ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე და გადაუხადოს „მოიჯარეს“ საიჯარო ფართის ორი თვის ღირებულება.

3.7. აწარმოოს საგადასახადოსთან კანონით გათვალისწინებული გადასახადი

„მეიჯარეს“ უფლება აქვს:

3.8. ხელშეკრულების 2.1., 2.3. და 3.1. პუნქტებში გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და არ გაითვალისწინოს ხელშეკრულების 3.6. პუნქტი.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეთა შორის უთანხმოება მოგვარებულ იქნას პირველ რიგში მათი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გზით.

4.2. ხელშეკრულების შეცვლა და მასში პუნქტების დამატება შესაძლებელია მხოლოდ მხარეების წერილობითი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 4. ზოგადი საკითხები

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 5. მხარეთა იურიდიული მონაცემები:

„მეიჯარე“ „მოიჯარე“